№ 54

პარასკევი, 21 მარტი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

**ფასი ნომრისა:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 54

პარასკევი, 21 მარტი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპოთ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

---

### ქართული თეატრი

**ოთხშაბათს 26 მარტს,**

ქართულის დრამატიული დასის არტისტების მიერ, სცენარიუსის ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

I

**მზის დაბნელება საქართველოში**

კომ. 3 მოქ. თხზ. ანტონოვისა.

II

**დაცრიალდა ქარა**

კომ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა.

დასასრულ **ლეკური**

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, ნიკოლაშვილისა, რჩეულოვისა, კუნდელი. ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

---

## ახალი ამბავი

—

*** მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე კავკავიდგან გუშინ, 20 მარტს, დილით გამოვიდა და დღეს საღამოს ჩამოვა ტფილისში.

*** სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს საქარის სანერგეს გამგეს ბ-ნ სტაროსელსკისათვის, გამოიწეროს საფრანგეთიდგან ასი ათასი ნერგი ამერიკულის ვაზისა ქუთაისის გუბერნიის ვენახების პატრონთა თხოვნის დასაკმაყოფილებლად. წინად გამოწერილი ასი ათასი სანერგე ამასვე ვაზისა საფრანგეთიდგან აქ მოსატანი გზის ხარჯით დამჯდარა 3,812 მან. და 40 კ.

*** გორის მაზრის სოფელ ალაიანში ამერიკულ ვაზისათვის უკვე დაუმზადებიათ ნიადაგი და ნერგიც მალე მოუვათ გასაშენებლადაო.

*** ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულომ გაუგზავნა პოლიცმეისტერს ქალაქის საბჭოსაგან შედგენილი ამომრჩეველთა სია გადასათვალიერებლად და იმის შესამოწმებლად, ყველა სიაში შეტანილები რუსეთის ქვეშევრდომები არიან თუ არა. პირველად შემდგარი სიით 2,780 ამომრჩეველი ყოფილა და დამატებულის სიით მიჰმატებია კიდევ 83. ამ ბოლოს დროს კიდევ შემდეგი ცვლილებანი მომხდარა სიაში: ქალაქის საბჭოს აღუნიშნავს, რომ 7 ამომრჩეველი გამოგვიტოვებიაო; 16 ამომრჩეველს დაუმტკიცებიათ, რომ უფლება გვაქვს და სიაში უნდა ვიქმნეთ შეტანილნიო. 9 ამომრჩეველი უნდა ჩაირიცხნენ მამულების ხელ-მეორედ დაფასების შემდეგ; 34 ამომრჩეველი უნდა გამოირიცხოს, რადგანაც შეცდომით არიან ნაჩვენები და სხ. გამოდის, რომ 2,780 ამომრჩეველი-კი არა ყოფილა, არამედ 2,861.

*** ამ დღეებში პეტერბურგიდგან ამბავი მოსულა, რომ რკინის გზის მმართველობას გადაუდვია 1895 წ. შემოსავლიდგან, 63,900 მანეთი, რკინის გზის მოსამსახურეთა დასასაჩუქრებლად. ეს ფული აღდგომის წინა დღეებში დარიგდება თურმე.

*** ამას წინად, როგორც ვუწყით, ქალაქის გამგეობაში სასანიტარო-საექიმო ინსპექტორი შეეკითხა ექიმებს, ვის შეუძლიან ლექციები წაიკითხოს შავის ჭირის შესახებ რუსულსა და ადგილობრივს ენებზედაო. ეხლა, როგორც გაზეთები სწერენ, აი რა პასუხი მისვლია: ექ. რაზამატს უკისრნია ლექციის წაკითხვა რუსულად, ექ. ბადრიძეს—ქართულად, ექ. გაუდელინს—რუსულად, ექ. ფონ-ირტელს—გერმანულად, ექ. ბაბაევს—რუსულსა და სომხურს ენაზედ და არწრუნის—რუსულსა და სომხურს ენაზედ.

*** როგორც ვთქვით, ჩვენ მოგვივიდა ფოტოგრაფიული სურათი ბ-ნ ზედგინიძისაგან, რომელიც ეჭვობს, იგი ხომ არ არის ჩვენის სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისაო. ეს სურათი ჩვენს რედაქციაში ჰნახა ბევრმა და ვერავითარი მსგავსება ვერა ჰნახეს. ესევე განაცხადეს თავ. ნ. ბარათაშვილის დებმა. ამ გვარად, უფრო საფიქრებელია, რომ ეს სურათი მართლა „ალასი"-სა იყოს, როგორც თვით სურათისათვის მიუწერია მისს გადამღებს.

*** ჩაქვის საუფლისწულო მამულში ბ-ნ სნეჟკოვის ხელმძღვანელობით ფორთოხლის მცენარის მოშენებას შესდგომიან.

*** ოზურგეთიდგან იწერებიან გაზ. „Нов. Обоз."-ში, რომ ქალაქის თვით მმართველობამ ყასბების თავგასულობის ასალაგმავად განიზრახა საყასბოს აშენება და საკლავის საქონლის გასასინჯად ბეითალის მოწვევა. აგრეთვე გადაწყვეტილია გამოტანილ იქმნას ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდგან 1,770 მან., რომელიც ქალაქსა აქვს მიბარებული, რომ ამ ფულით აღაგონ ქალაქის თვით-მმართველობისათვის საკუთარი შენობა. ეხლა სადგომის ქალაქის გამგეობას წელიწადში 400 მან. ეხარჯებაო.

*** ბათუმი. აქ დაარსეს საზოგადოება ნადირობისა, რომლის წესდებაც უმაღლესად უკვე დამტკიცებულ იქმნა.

*** „ნოვოსტი" ამბობს, რომ ლვინოზედ ბაჟის დადების საქმე განუსაზღვრელის ვადით გადასდესო.

*** მე-VIII ნაწილში გაუსინჯავს ქალაქის ექიმებთა კომისიას ძეხვ-ღორის დუქანი ჯოვანისა და მეტის მეტი უსუფთაო აღმოჩენილა. არამცთუ თითონ ოთახია, სადაც ძეხვს ამზადებენ, უსუფთაო და დაძველებული, სტოლები და ყუთებიც-კი ჭუჭყით სავსე ყოფილა. კომისიას ოქმი შეუდგენია და სასამართლოში მიუციათ ჯოვანი. ამასთანავე დაუდგენიათ, ვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, რომ ნება აღარ მისცენ ამ დუქანში ვაჭრობისაო.

*** „ტფ. ფურც."-ი ამბობს, რომ საჭიროა ახლად ამორჩეულ ქალაქის სანიტარებმა დიდი ყურადღება მიაქციონ აბანოებს, რადგან მეტად უყურადღებოდ არიან მიტოვებულები, მომეტებულ ნაწილად პოლიციის მე-VI ნაწილში. მეტის-მეტი უსუფთაობაა ხალხის ტანთ-გასახდელს ოთახებში, ტახტები რაღაც ძველის ქეჩებით არიან დაფენილი და არა ერთ ორს მწერს უსუფთაობისას მოჰკრავთ თვალს. რადგან ხშირად ავადმყოფები დაიარებიან აბანოებში, ამიტომ ადვილად გადაედება სხვასაც სენი ამ მუდამ გამოუცვლელ საფენებისაგან. წყალი აუზში იშვიათად იცვლება და სხვანიო.

*** ბათუმი. ბათუმში ყოველთვის დიდ-ძალი ხალხი იყო საქართველოს ყოველ მხრიდგან და აქაურ ქარხნებში ჰმუშაობდნენ. ყველა მუშები, ცოტად თუ ბევრად, კარგს მდგომარეობაში იყვნენ და მექარხნეებიც მადლობელნი იყვნენ მუშებისა. ხოლო ამ უკანასკნელს ხანებში ბათუმი გაივსო ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ ხალხით და, ასე წარმოიდგინეთ, ყველა უბნებში და ყოველ ნაბიჯ-

---

# ფელეტონი

—

### ნაწყვეტი.

—

არ მივარგოდა გონება,
გულის თქმამ ამიყოლია,
დავღუპე დედულ-მამული,
ჭარდით მომიკვდა ცოლია,
გამიდგა უგროშ-ფულოსა
მეგობარი და ტოლია,
კატაც-კი აღარ დამიდგა,
გამექცა ძაღლიც ბროლია!..

დ. მაჩხანელი

---

### ხრიკების ხუხულა

ბ-ნი გ. წერეთლისა.

სწორედ ღირსეული მოკავშირე აღმოუჩნდა ჩემ წინაამდეგ ჩვენ სახელოვან ისტორიკოსს, ბელეტრისტს, კომერსანტს და ყოველ-გვარი მეცნიერების და ოსტატობის აუზს ბ-ნს გიორგი წერეთელსა. ეს მოკავშირე გახლავსთ ინფლოენცა, რომელიც სწორედ მაშინ მეწვია, როცა ჩვენი მეცნიერი გოროხების გროვას მიიზნებდა სამეცნიერო გაზეთის „კვალის" ფურცლებიდგან. ჭეშმარიტად, მარჯვე დროს იშოვა მოკავშირე, და ისიც როგორი? იმისთანა, რომელიც საოცრად ჰგავს მას ერთი მხრივ. აიღეთ ხველა-სურდო, ზედ დაუმატეთ ციება, დაურთეთ მათ სუნთქის ორგანოების ანთება და გამოვა სრული ინფლოენცა. აიღეთ მეექვსედი ბელეტრისტისა, მიაწებოეთ მას მეექვსედი ისტორიკოსისა, შეაზავეთ კომერსანტის მეექვსედით და თქვენ წინ იქმნება გამოჭიმული ბატონი გიორგი წერეთელი.

დიდი ხანია ნათქვამია: მსგავსი მსგავსსა შობსო. ჩვენს ჭრელს მსწავლულსაც შეუქმნია ნამდვილი ჭრიანტელი შემდეგი რეცეპტით: აუღია მთელი ბოყვი ინსინუაციებისა, გადაურევია შიგ ამდენივე გადასხვაფერება ჩვენის სიტყვებისა, შეუზავებია მოჭორილი სიცრუითა და აუშენებია ჭრელი ხუხულა ხრიკებისა.

თვით სახელიც-კი ხრიკიანი დაურქმევია თავისი წერილისათვის. იგი სწერს: „ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და მისი ტყუპი ნაცნობი". ვისთვის სწერს ამას? მკითხველისთვის? სრულიადაც არა. მკითხველმა დიდი ხანია იცის, რაც უნდა იცოდეს. მაგრამ იქ ეს ნამდვილად არ იციან, და საჭიროა-კი შეიტყონ, რათა გააძლიერონ დევნა ერთის მხრივ, და მეორე მხრივ წაქეზება „კვალის" კლიენტისა, რომელიც აჰყოლია იმ ქარის მიმართულებას, რომელიც გაიზუზუნებს: რაც ულატაკესია ქართული სახელმძღვანელო, ის უკეთესიაო.

ეს ხრიკების ხუხულა, დაბეჭდილი „კვალში" 25 იანვარსა, გამოწვეულია ჩვენი ფელეტონით: „სამახარობლო ერგება, თუ არა?" რომელიც დაიბეჭდა იანვრის 18-ს „ივერიაში". ამ ჩვენს წერილს თავისი სამართლიანობით ისეთი ჩაბეჭდილება მოუხდენია „კვალის" რედაქციაზედ, რომ ბ-ნი წერეთელი სწერს: „ბ-ნმა გოგებაშვილმა გამოისროლა ჩვეულებრივად მწარე წამალით გატენილი ყუმბარაო". მერე რა პასუხს აძლევს ამ „ყუმბარას?" რას ამბობს თავის გასამართლებლად იმ საქციელის შესახებ, რომ მან დიდი სიამოვნებით ახარა მკითხველებს მოწონება „დედაენის" მაგიერად იმისთანა ლატაკი წიგნაკისა, რომელიც მისს მეოთხედს შეადგენს და რომელიც დაეხმარება ერთი ოთხად ქართულის ენის შემოკლებას სკოლებში? არაფერს. ამ მთავარს საგანს ბაასისას იგი თავს არიდებს, გვერდს უხვევს, სიტყვას ბანზედ აგდებს, რადგანაც გრძნობს და იცის, რომ აქ უკუღმართობა „კვალისა" აშკარაა და თავის გამართლება ყოვლად შეუძლებელია. მთავარ საგანზედ პასუხის მაგივრად ბ-ნი წერეთელი ხრიკსა ხმარობს. იგი ეტოტინება წარსულს წელიწადს „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილს ჩვენს წერილს და ასე გვაბეზღებს ახლა სხვა პირებთანა: „ეს წერილი მუქარა იყო ქართველ პედაგოგების წინაამდეგ, რომელთაც ის უკრძალავდა საერო პოეზიიდგან მასალის ხმარებას მათ მიერ შედგენილ ხელ-სამძღვანელოებში". ამისთანა ხრიკებით სავსეა მთელი წერილი ჩვენის მეცნიერისა და ისე მოსწონს ეს ხრიკები, რომ თავის თავს უწოდებს იქვე მეფისტოფელად. მაგრამ ამისთანა ოინით ბავშვებსაც კი ვერ მოატყუებს. ნუ თუ თავისი მკითხველები „კვალს" ისე უგუნურებად მიაჩნია, რომ მათ დაუჯერონ, ვითომ მე ვისმე ვუკრძალავდე საერო პოეზიიდგან მასალის ხმარებასა? ან იქნება პედაგოგებში ეგულება ისეთი გლახაკი გონებითა, რომ ეს ხრიკი ღირსეულად ვერ დააფასოს, წატყუებულ იქმნას და ცეცხლიდგან ნაკვერჩხალი იღოს საკუთარი ხელებით „კვალის" სასიამოვნოდ და სასარგებლოდ? იმისთანა უგუნური აკრძალვა ჩვენ არამც თუ ფიქრადაც არ მოგვსლია, არამედ იმ წერილში ჩვენ პირდაპირ გამოვაცხადეთ: „ჩვენ სრულს ნებას, სრულს უფლებას ვაძლევთ დედა ენიდგან ისარგებლოს იმ პედაგოგმა, რომელიც შეადგენს უფრო უკეთეს სახელმძღვანელოსაო". ამ უფლებას არ ვაძლევთ მხოლოდ იმ „გზირს" რედაქციისას, და მის მსგავსთა, რომელიც აჰყოლია ზემოთ ხსენებულის ქარის მიმართულებას და სურს პირადს ინტერესებს შესწიროს სიკეთე ქართულის ენისა.

„კვალის" რედაქცია-კი სწორედ ამ უკანასკნელს პირებს აქეზებს თითქმის ამ სიტყვით: ბეჭდეთ „დედაენიდგან", რამდენიც გინდათ, და სთქვით: ჩვენ თვითონ შევკრიბეთ ხალხში „მოდი ვნახო ვენახი", რწყი-

ედ შეხვედრით მათხოვარა ხალხს, ომელნიც მუდმივ ხელ-გაშვერილნი აიძახიან: „ალაჯან, ქრისტიანე... ური მაჰამეო“ და ამოდენა ხალხი უზივით მიაწყდა აქაურ ქარხნებს, ექარხნეებმა რომ უარი უთხრეს, ოგორც გამოუდეგარ მუშებს, მაშინ ფასი ერთი სამად და ოთხად დაუკლეს და 30 კაპ. და 40 კაპიკად სიამოვნებით კისრულობენ მუშაობას. ამ ნაირმა ფასის დაკლებამ ანც თავისი გაიტანა და ზედ მეტი კიდევ ის დაერთო, რომ როგორც მოგეხსენებათ, ზოგიერთი მექარხნეები სომხები არიან და თავიანთ ებს ჰქომაგობენ. ამ რიგად, დღეს თუ ხვალ მთელს ბათუმში ჩვენებური მუშა ხალხი აღარ იქნება და, საბრალოებმა თავიანთი ბარგი-ბარხანა უნდა აიკიდონ და გასწიონ სოფლებისაკენ, სადაც შარშანდელისა და შარშანწინდელის ზამთრებითა და მოუსავლობით და წრევანდელის სიმინდის ფასის დაკლებით სულ ერთიანად დაცემული და მიწასთან გასწორებულია ჩვენის მდაბიო მუშა ხალხის მდგომარეობა. (ცნ. ფურ.).

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. კარდანახი.** (სიღნაღის მაზრა). არ იქმნა და ვერ გაიყო, ვერ გაიმიჯნა ვაჩნაძეების საერთო გაღმა-მხარი-ტყე. ეს ტყე სწორედ საჭირ-ბოროტოდ არის გამხდარი, როგორც თვით მემამულე თ. ვაჩნაძეებისათვის, აგრეთვე მთელის მაზრის გლეხ-კაცობისათვის. დღე არ გაივლის, რომ რამდენიმე გლეხი არ გაიძარცვოს და არ გაიტყეპოს. მაგრამ საცოდავს გლეხს ყურს ვინ-და უგდებს, ეს ხომ ყველგან დაბრიყვებულია. საქმე ის გახლავთ, რომ ბევრჯელ გლეხისათვის მომზადებული ჯოხები ბრწყინვალე ზურგზედ მოილებს ხოლმე ბრაგვანს. აი ეს ჯოხის ტრიალი გახლდათ მიზეზი 25 ს თებერვალს ს. კარდანახში მომხდარ უბედურებისა. თ. კოტე ვაჩნაძემ რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა თავისი ალალი ბიძაშვილი თ. გიგლო ვაჩნაძე, ტყვია ორ ალაგას აქვს მოხვედრილი, მარცხენა და მარჯვენა ფერდში და ორივე ტყვია გარედ არის თურმე გასხდებული. უმთავრესი მიზეზი, ტყის გაუყოფელობა იყო. გაუყოფელს ტყეს ვისაც როგორ ჰსურს, ისე ხმარობს. მომეტებულ ნაწილად კი ისინი ჰხმარობენ, რომელთაც თავიანთი წილი სულ გაყიდული აქვთ სხვაზედ, ან სულ მცირე ნაწილი აქვთ. ეს ხელ-მოკლე თავადნი მთლად თავიდგან ფეხამდის შეიარაღებულნი დანავარდობენ სოფელ-სოფელ ან თვით ტყეში და ჩალის ფასად ასაღებენ ტყეს. ხე-ტყე ურემში 60 კაპ. ღირს, შეშა 40 კაპ., ფიჩხი 20 კაპ. და ჭიგო 50 კაპ. თუ ვინმე მომავალი გაჰბედავს და ამათ მაგიერ სხვა დიდ მემამულისაგან აილებს ბილეთს, ამისთანა ურჩს ორჯელ და სამჯერ სხვა-და-სხვა ალაგას დახვედრით გაძარცვენ და თუ გაბედა გამოაჩენა, მაშინ ხომ გალახვენ კიდეც. ამისთანა უსამართლობის ბოლოს მოსაღებად შეიკრიბნენ მთლად მთელი მონაწილენი და გარდაწყვიტეს, ბილეთები ერთს ამორჩეულს კაცს ეძლია და შემოსავალი ძმურად გაეყოთ. თავისუფლად მონავარდე თავადნი ტყის მცველებად ამოირჩიეს და თავიანთ ხვედრის წილის გარდა, ჯამაგირიც დაუნიშნეს. მაგრამ არც ამითი გამოვიდა რამე: საზოგადო ბილეთების მაგივრად თავიანთ ბილეთების გასაღება დაიწყეს. ამ ამბით აღელვებულნი დანარჩენნი თ. ვაჩნაძეები, თ. ივ. ვაჩ—ძის მეთაურობით, წავიდნენ გაღმა მხარში ადგილობრივ საქმის გასაგებ-გასარჩევად. ტყეში თავადნი რამდენსამე ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ამისთანა ჯგუფი, რომელშიაც იყო დაჭრილი თ. გ. ვაჩ—ძე, შეცრად წააწყდა რამდენსამე ტყის მასალით დატვირთულს ურმებს. ამათ ბილეთები გაუსინჯეს და, რაკი საერთო ბილეთები არ გამოაჩნდათ, მეურმეები დაატუსაღეს. ამ დროს გამოჩნდნენ ძმანი კ. და ლ. ვაჩ—ძეები და დაჰკივლეს მოწინააღმდეგე ვაჩნაძეებს, ურმები გაუშვათ. თ. გიგლო ვაჩნაძემ არ გაიგონა ამათი ბრძანება და ურმებს წინ გადაუდგა გირაოების ჩამოსართმევად. გულ-მოსულთ ძმათა ვაჩნაძეებმა უბრძანეს თავიანთ ბიჭებს ურჩის მოძმის დასჯა და ბიჭებმაც დაუშინეს გიგლო ვაჩნაძეს ჯოხები. გიგლომაც მოიმარჯვა ჯოხი და მოუქნია ბიჭებს, მაგრამ ბიჭის მოსახვედრი ჯოხი თვით ბატონს კ. ვაჩნაძეს სდრუზა წელში. გამწვავებულმა კ. ვაჩნაძემ არც აცხელა, არც აცივა და მაშინვე რევოლვერი დასცა რამდენჯერმე, მხოლოდ ორი ტყვია მოარტყა და, როგორც ზევითაც ვსთქვით, სასიკვდილოდ დასჭრა თ. გიგლო ვაჩნაძე.

ამ რაინდს სამსჯავრო თავის მსჯავრს დასდებს, მაგრამ ნუ თუ დრო არ არის ბოლო მოეღოს ამისთანა ბოროტებას, მარცვა-გლეჯას, ცემა-ტყეპას და ტყუილ-უბრალოდ ძმათა სისხლის ღვრას? ნუ თუ თვით ვაჩნაძეებისათვის სასარგებლოა საქმის დღევანდელი ვითარება? ხომ დარწმუნებულები არიან, რომ ამ დაუსრულებლის ქიშპობით და ჯიბრობით ტყეს ბოლო ელება, რამდენიმე წელიწადიც და სულ მთლად გაიჩეხება სამუდამოთ და მარტო უსიამოვნობა და შურის-ძიება ღა დარჩებათ ამ ტყეებისა გამო. გვიკვირს, ღმერთმანი, რატომ იმისთანა საპატიო კაცნი, როგორნიც არიან თავ. რევაზი, ივანე და სხვა ვაჩნაძეები და თვით თავადნი აფხაზნი, რატომ არას იღონებენ? ნუ თუ შეუძლებელია როგორმე ამ საქმის შველა? არა გვგონია, რომ სახსარი არ იყოს და უჯობდეთ მუდამ დავიდარაბა და სისხლის ღვრა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „ლუჩ“-ი თავისს მეთაურს წერილში ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ქალაქები სწრაფად მიდიან წინ, ხოლო ამ ქალაქების მეურნეობა-კი ძალიან უკუღმართად არის წარმართული და ჯერ კიდევ ამ ქალაქთა განკარგებას ცეცხლი დიდს სამსახურს უწევსო.

ჭუჭყისა და უსუფთაობის მხრივ სამაგალითო მდგომარეობაში მყოფნი ბაქო და ასტრახანი აზიის ჭიშკარს შეადგენენ და ეს ქალაქებია პირველი სადგომი და ბინა შავის ჭირისა, ხოლერისა და აზიიდგან მომავალ სხვა სტუმართათვის, ამავე გზაზედ სძევს ტფილისი, რომელიც გასუფთავებისა და გაიგიანებისათვის იმის მეტი საშუალება აღარა არის-რა, რომ აზიური ჭირები დაიწვას, ესე იგი, იგივე, რაც შავ-ჭირთან ბრძოლისათვის არის საკეთილოდ ცნობილიო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი მთავარ-მართებელი ბრძოლას გაუწევს ამ ანტისანიტარულს წეს-რიგსა და შეიძლებს კიდეც იმის დაძლევასაო.

ეს საყვედური მთლად და ერთად, რასაკვირველია, ჩვენის ქალაქის თვით მმართველობას ეკუთვნის.

**

ისევ და ისევ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე, რომელსაც სათვალეებითაც არ უნდა დაინახოს, რომ დღე ნათელია და ღამე—ბნელი: აი გუშინ რა სტრიქონები უძღვნა ამ გაზეთმა „ივერია“-ს:

„„ივერიის“ მენარკვევე ყოველ დღე პასუხს გვაძლევს, ჩვენთან პოლემიკოსობს, ჩვენ-კი... ჩვენ, სამწუხაროდ, პასუხის გაცემა არ შეგვიძლიან, არ შეგვიძლიან ვაგრძნობინოთ ჩვენს გულ-ფიცხს მოკამათეს ის სიამოვნება, რომელსაც იგი, როგორცა ჰსჩანს, ასე მოწყურებია. ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ გაზ. „ივერია“-ს თავისი საკუთარი საბუთები არ მოჰყავსო.

შემდეგ გაზეთი სჩივის, რომ „ივერია“ მარტო ჩვენთა მოწინააღმდეგეთა ნათქვამს ჰბეჭდავს და ჩვენს პასუხს კი არაო.

აი, ეს გახლავთ მთელი აზრი გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს შენიშვნისა, რომელიც როგორც ყოველი მისი ნაწერი ქალაქის თვით-მმართველობისა და ქართველ-სომეხთა დამოკიდებულობის შესახებ, ცალმხრივია და მართალს უფრო ჩრდილს აყენებს, ვიდრე სინათლეს. ჯერ ერთი „თავისი საბუთები არ მოჰყავსო“, რა სიტყვაა? განა გაზ. „კავკაზის“ ვ. გუნიას და მის მიერ მოყვანილი საბუთები, პირველად ჩვენ რომ დაგვებეჭდა, ან ფერს იცვლიდა და ან ზნესა, ისევ ის არ იქნებოდა, რაც ეხლა არის და რასაც გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ემ შესაფერი პასუხი ვერ მისცა, თუმცა ბევრს ეცადა იმისს ჩაფუჩეჩებას?

მეორე—რომელი საბუთიანი საბუთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაჰბეჭდა იმის წინააღმდეგ, რაც ჩვენა გვქონდა, რომ არ აღვნიშნეთ იგი? საბუთიანი-კი არა, მთელს ამ საქმეში სავსებით იჩინა თავი უსაბუთობამ „ნოვ. ობოზრ.“ სამ და სურვილმა, სომხებს გაუწიოს მფარველობა და იმათ უფრო მეტი მიჰკერძოს, სხვა ეროვნებათა დასაჩაგვრელად, იმათს უდიერობასა და უსამართლობას სამართლიანობის ელ ფერი დასდოს.

დიაღ, მართალს ამბობს გაზეთი, რომ „სამწუხაროდ, პასუხის გაცემა არ შეგვიძლიანო“. როდესაც უსამართლობას გამოესარჩლება გაზეთი, იმას ჩქარა ჩაუწყდება სიტყვა პირში, რადგან ტყუილს შორი მანძილი არა აქვს და „ნოვ. ობოზრ.“-ე-კი არც იმდენად უგუნურია, არ მიხვდეს, რომ ჰტყუი და სჯობს დავჩუმდეო. ამაზედ უკეთესს გზას ვეღარას იპოვიდა ეს გაზეთი ამ ბოლოს დროს ატეხილ პოლემიკიდგან თავის დასაძვრენად.

## სასამართლოს მატიანე

ცხენი-პარია ბილანიშვილებისა და შარუბაშვილის საქმე.

17 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია სიღნაღის მაზრის მცხოვრებლების როსტომ ბილანიშვილისა, სოსიკა ბილანიშვილის და წყალობა შარუმაშვილის საქმე, რომელთაც ჰბრალდებოდათ ცხენების ქურდობა სხვა-და სხვა ალაგას.

1895 წ. მაისის 25 ღამე მოუპარავთ ქ. ტფილისში მცხოვრებელის გიორგი ხიზამბარიშვილის მდგმურისათვის კვიცი მოყვითალო ფერისა დაუკეტავის ბოსლიდგან. ამავე თვეში სიღნაღის მაზრის სოფელ სეხობოში მცხოვრებელს გლეხს მიხა ფოლადაშვილისა წაუყვანიათ ორი ცხენი, რომლებიც ბოძზედ ყოფილან თოკით მიბმულები. იმათვე მოუპარავთ ცხენები გლეხების ალექსანდ-

---

ლი და ქიანქველა“ და სხვანი, და გოგებაშვილს რა ხელი აქვს ჩვენთანაო. აი სწორედ ამ დღისათვის დარჩა საიდუმლოდ ერთი საბუთი, რომლითაც ცხადად დავამტკიცებ სიცრუეს ბ-ნი გიორგი წერეთლისასაც და მის პედაგოგ-ზნირებისაც. საქმე ის გახლავთ, რომ სახალხო პოეზია „დედა-ენაში“ ხელ-უხლებლად არ არის შეტანილი. თანახმად პედაგოგიის მოთხოვნილებისა, რედაქცია მათი შეცვლილია ჩემ მიერ. ხალხის პირში „მოდი ვნახო ვენახი“ არც ასე იწყება და არც ასე თავდება, როგორც „დედა-ენაში“; „რწყილსა და ქიანჭველასაც სხვა სათაური აქვთ, სხვა ცხოველი მოქმედობს. ზოგს სახალხო ლექსებსაც აგრეთვე ცვლილება დასჭირდებათ. თუ ჩვენს რედაქციას ბ ნი წერეთელი და მისი კლიენტი სთვლიან ხალხის ხელუხლებელ ქმნილებად, ეს იმისი უტყუარი საბუთია, რომ მათ მხოლოდ „დედა-ენიდგან“ აქვსთ გაცნობილნი სახალხო ნაწარმოებანი, მაშასადამე სტყუიან, როცა ამბობენ, რომ თვითონ ხალხისაგან ვისწავლეთო.

ამ სახით, ორ-კეცი შრომა მიმიძღვის ხალხის ნაწარმოებზედა; ჯერ ერთი ესა, რომ შემიკრებნია ისინი ხალხში, მეორე ესა, რომ რედაქცია მათი შემიცვლია, თანხმად ბავშვების ბუნების მოთხოვნილებისა. ეს ისეთს სრულს უფლებას საკუთრებისას გვაძლევს ჩვენ, რომ დღეის შემდეგ არც ერთი რიგიანი და მართებული პირი, ჩვენ ნება-დაურთველად, არ იკადრებს ისესხოს „დედა-ენიდგან“ ხალხის ნაწარმოებნი და სხვა მასალა.

ეს ჩვენი გამჟღავნება ერთი მხრით გაუხარდება ბ-ნს წერეთელსა. იგი იტყვის უთუოდ: „დახე, დახე, „დედა-ენაში“ თურმე დამახინჯებული ყოფილა ხალხის ნაწარმოებიო! მაგრამ ტყუილი სიხარული იქნება. ის გარემოება, რომ დღემდინ ყველანი, მათ შორის ჩვენი მეცნიერიც, ხალხის ყველა ნაწარმოებს, „დედა ენაში“ დაბეჭდილს, სთვლიდნენ ხელ-უხლებლად, მოწამეა იმისი, რომ ყოველი ჩვენი ცვლილება ხალხურს გემოს და ხასიათს შეესაბამება და წარმოადგენს იმგვარს გადასხვაფერებას, რომელსაც თვითონ ხალხი მოახდენდა, თუ ბავშვებისათვის დანიშნავდა მათ. თუ ეს ასე არ არის, აბა ბ-ნმა წერეთელმა გამოიცნოს, სად არის შეცვლილი ჩვენ მიერ ხალხის ნაწარმოები და სად უცვლელად არის დატოვებული.

ჩვენ ამ აზრს სხვა მხრივაც ცხად ვჰყოფთ. „დედა-ენაში“ არის დაბეჭდილი ათამდე პატარა ლექსი ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკის რედაქციით. წინედ ეს ლექსები ჩემი რედაქციით იბეჭდებოდნენ, მაგრამ რადგან მათი ფორმა არ მაკმაყოფილებდა, ამის გამო ვსთხოვე აკაკის ჩაეცმია მათთვის თავისებური პოეტური ტანისამოსი. მანაც დაუზარელად ამისრულა თხოვნა და ზოგი ძლიერ შესცვალა, ზოგი უფრო ნაკლებად. როცა მივიღე აკაკისაგან რვეული ამ ლექსების, მისი ხელით სუფთად გადაწერილი, მე ვთხოვე მას ნება მოეცა ცვლილებისა, თუ პედაგოგიური მოაზრებით ამას საჭიროდ დავინახავდი და კიდეც მივიღე იგი. ამ ნება დართვით ვისარგებლე და შიგა-და-შიგ შევცვალე სიტყვები და ფრაზები სიმარტივის გასაძლიერებლად. როცა აკაკის თხზულებებსა ბეჭდავდა გამომცემელი ამხანაგობა, ეს ლექსებიც ამოეწერა „დედა-ენიდგან“ და სხვებთან ერთად წარედგინა ავტორისათვის. აკაკის, რომელმაც თურმე არ იცოდა, საიდგან იყო ეს ლექსები ამოწერილი, გადაეკითხნა იგინი და არც ერთის ჩვენის ცვლილებისათვის ხელი არ ეხლო. ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენ იმდენად კარგად გვაქვს შესწავლილი ჩვენის სახელოვანის პოეტის თხზულებანი, რომ როცა ვცვლით ლექსსა, ისევ აკაკისებურს ლექსსა ვხმარობთ და გარმონიას არ ვარღვევთ. ხალხის ნაწარმოებსა სწორედ ასე ვეპყრობით და ერთს ხალხის გამოხატულებას ვცვლით მეორე გამოხატულებაზედ, აგრეთვე ხალხურზედ, მაგრამ უფრო მარტივზედ და ბავშვებისათვის ადვილზედ. *)

ჩვენ ეს შენიშვნა სხვა აზრითაც მოვიყვანეთ. რადგანაც აკაკის რ
დაქციით დაბეჭდილი ლექსები „დ
და ენაში“ შინაარსით ჩვენ გვეკუ
ვნიან, რადგანაც მათში ჯეროვან
გონორარი მივვიცია პოეტისთვის
თვითონ ფორმაც ცოტაოდნად მაინ
შეცვლილია, ამიტომ იგინი საზიარ
საკუთრებას შეადგენენ და მათი
დაბეჭდვის უფლება „დედა-ენიდგან
გარდა თვითონ აკაკისა, არავის ა
აქვს ჩვენ ნებადაურთველად. ეს ის
თი ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ თვ
ბ-ნი გიორგი წერეთლის სოფის
კაც-კი უნდა დაღუმდეს...

ბ-ნი გიორგი წერეთელი პირ
ლად როდი ცდილობს ყოვლად უ
ფუძვლო ინსინუაციით გაალვი
ძლიერ დაბალი ინსტინკტი
წინააღმდეგ, პირველად რო
მაბრალებს რაღაც მუქარას მას
ლებელთადმი, რომელთაც ვით
მე ხელს ვუშლი სახელმძღვანელ
ბის შედგენაში. ამ ინსინუაციის
ზანი ყველას კარგად ესმის: ჩამო
დონ ჩვენში განხეთქილება, ერ
ნეთის მტრობა, შინაური ომი.
როდილა ფიქრობს, გატაცებუ
თავისი დაბალი განზრახვით,

*) სხოლიო. ის ხალხის ნაწარმოები, რომელიც „დედა-ენაში“ ცვლილებით არის დაბეჭდილი, ჩვენ დიდი ხანია გადავეცით უცვლელად, ხალხის ხელ-შეუხებელ რედაქციით ერთს განათლებულს ქართველს, რომელიც დიდი ხანია აგროვებს ხალხის ზეპირ-მეტყველებასა და უნდა ცალკე წიგნად გამოსცეს.

ყარალაშვილისა და ილიკო ბე-
კაშვილისთვის. გამოძიებამ და მოწ-
ის ჩვენებამ აღმოაჩინა, რომ ამ
ენების ქურდები ყოფილან 80
ის მოხუცი გლეხი როსტომ ბი-
ნიშვილი, იმისი ძმისწული სოსი-
ბილანიშვილი, ხოლო ამხანაგად
ლობა შარუმაშვილი ჰყოლიათ.
ალდებულებმა არ იცნეს თავიანთი
ი დამნაშავეთ.
ოლქის სასამართლომ დამნაშავე-
იცნო როსტომ ბილანიშვილი,
იკა ბილანიშვილი და შარუმაშვი-
. პირველ ორს ხელობად გაუხ-
თ ცხენების ქურდობა და შარუ-
ვილს-კი მხოლოდ მონაწილეობა
ლია ხიზამბარიშვილის ცხენის
დობაში და ბილანიშვილებისაგან
ურდ ფოლადაშვილის 300 მან.
ებულ ცხენის გაყიდვის დროსაო.
მართლომ, მიიღო რა მხედველო-
14 მაისის 1896 წ. მანიფესტი,
დგინა: როსტომ და სოსიკა ბი-
იშვილებს ჩამოერთვას ყოველივე
ებანი და გაგზავნილ იქმნენ
ხასიათის გამასწორებელ პატი-
ა განყოფილებაში თითო თითო
თა და რვა თვით, წყალობა შა-
შვილი-კი დაპატიმრებულ იქმნას
ტიმროში რვა თვით.
ასამართლოს გადაწყვეტილების
ცხადებისათანავე ბილანიშვილე-
ქავე დააპატიმრეს. ხოლო შარუ-
ლი თავდებობით იქმნა განთა-
ვლებული.

---

ქოში მცხოვრებ გლეხს კონა
ვაჟიშვილი წამოეზარდა. დრო
ცოლი შევრთოო, იფიქრა და
ოც გამონახა, სახელად პრასკო-
ქალის დედაც დასთანხმდა ქორ-
აზედ. გაიმართა ნიშნობა. სა-
მა და სადედოფლომ ერთმანეთს
-ქმრობის პირობა მისცეს და
ილის დღეც დანიშნეს—9 თე-
ლი. 6 თებერვალს პრასკოვიამ
განაცხადა ქორწინებაზედ, ჩე-
ქმრო ივანე აღარ მომწონს და
ვირთავო. ივანეს მამამ ეს იწ-
და სასამართლოში უჩივლა სას-
დედას, მომატყუეს, ნიშნობა-
5 მანათი დამახარჯვინეს და
ამისა, რადგანაც ჩემი შვილი
საქორწინოდ ემზადებოდა ამის გამო ნიშნობის დღიდგან, ე. ი. 20 იანვრიდგან 6 თებერვლამდე უსამსახუროდ დარჩაო. ყველა ამ მიზეზისა გამო ზარალი მოგვივიდაო და ვსთხოვ მომრიგებელს მოსამართლეს ჩემისა და ჩემის შვილის მხრივ, ეს ზარალი გადაახდევინოთ პრასკოვიას და მისს დედასაო.

სასამართლოში მივიდნენ კონაკოვი, დაწუნებული საქმრო ივანე, მოპასუხე, სასძლო პროსკოვია და მათი ვექილი სვენტეცკი. მომჩივარის მიერ დასახელებული მოწმები არ გამოცხადდნენ, რადგანაც პოლიციამ ვერც ერთი ვერ იპოვნა და უწყება ვერ ჩააბარა.

— რას იტყვი თქვენის საჩივარის შესახებაო, —ჰკითხა კონაკოვს მსაჯულმა.

— მე უმოწმებოდ ვერაფერს ვიტყვი, გთხოვთ ისინი დაიბაროთ და ყველაფერს დავამტკიცებ.

— შეგიძლიანთ, მოწმეებს უწყება თქვენ თითონ ჩააბაროთ?

— შემიძლიან.

მოპასუხის ვექილმა სთქვა, მოწმების დაბარება სრულიად მეტია, რადგანაც თვით სასძლო პრასკოვია უარს არ ამბობს, რომ კონაკოვმა ნიშნობაზედ ფული დაჰხარჯა. რაც შეეხება იმას, რომ საქმრო ქორწინების მოლოდინისა გამო უსამსახუროდ დარჩა, მოვახსენებ მსაჯულს, რომ მომჩივარის შვილი ივანე სრულწლოვანია და ამიტომ მამას მის მაგიერ ჩივილის უფლება არა აქვს. გარდა ამისა, მე-X ტომის 1 ნაწილის 12 მუხლის და სენატის გარდაწყვეტილებათა ძალით, თუ სასიძომ ან სასძლომ ქორწინებაზედ უარი განაცხადა, არც ერთს მათგანს უფლება არ ეძლევა მოსთხოვოს მეორეს დახარჯული ფული, ამიტომ ვსთხოვ მოსამართლეს, მომჩივარს უარი უთხრას და უკანონო საჩივარი არ იქმნას შეწყნარებულიო.

მომჩივანმა კვლავ სთხოვა მსაჯულს, მოწმეებსა ჰკითხეთო.

ვექილი. მერე რას იტყვიან მოწმეები იმის გარდა, რომ სასძლომ ნიშნობაში არაყი ან რომი დალია და ვაშლი ან ფორთოხალი შესჭამა?

მსაჯული. (მომჩივანს) კიდევ გაქვთ რამე სათქმელი?

— როგორ არა, მოწმეებსა ჰკითხეთ და დამტკიცდება, რომ ქალმა უარი განაცხადა ქორწინებაზედ.

— მიზეზი იცით?

— არა, არ ვიცი!

სასძლომ მსაჯულს მოახსენა, მე უარზედ არა ვარ, მზადა ვარ მივთხოვდე, მხოლოდ ქორწინების გადადებას ვთხოვდი საქმროს. ბეჭედიც-კი მივეციო.

ვექილი. ეგ საუბარი სრულიად მეტია. მომჩივანს ქალის თანხმობა-კი არ უნდა, დახარჯულ ფულსა თხოულობს.

მომრიგებელმა მოსამართლემ კონაკოვს საჩივარზედ უარი უთხრა და გადასწყვიტა, გადაჰხდეს მასვე მოპასუხის სასარგებლოდ სასამართლოში საქმის საწარმოებელი ხარჯი 6 მ. და 50 კ.

## რუსეთი

—

მიწად-მოქმედების სამინისტროს დაუვალებია ცალკე კომიტეტისათვის შეიმუშაოს ახალი ტიპი იაფდაბალ სახალხო სამეურნეო სასწავლებლისა და სახალხო სამეურნეო წიგნთ-საცავისა. ამას გარდა, სამინისტროს ჰსურს ამ სასწავლებლებთან გაჰმართოს მესამე ხარისხის სამეტეოროლოგიო სადგურები, რომ შეგირდებს შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში.

— მარტო ფინანსთა სამინისტროს ჰყოლია დღემდის საზღვარ-გარეთ სავაჭრო აგენტები. სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაც განუზრახავს ამ ჟამად იყოლიოს აგენტები საზღვარ-გარეთ რუსეთის სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა გასავრცელებლად. ჯერჯერობით ასეთი აგენტები დაინიშნება ინგლისსა, გერმანიასა, საფრანგეთსა და ავსტრიაში.

— ერთს რუსეთის სატახტო ქალაქის მცხოვრებს მდიდარს ბერძენს საბერძნეთის მთავრობისათვის 370,000 მან. გაუგზავნია. თუ ომი გამოაცხადა, ხსენებულს მდიდარს კიდევ ამდენისავე ფულის გაგზავნა აღუთქვამს.

— რუსეთში ერთი საზოგადოება შემდგარა, რომელსაც „ნავთის მწარმოებელი მოსკოვის საზოგადოება“ ეწოდება. ამ საზოგადოების თანხას 2,000,000 მან. შეადგენს და საგნად აქვს, — ქალაქ გროზნის მახლობლად ნავთის წყაროიანი ადგილები შეიძინოს და აწარმოვოს. საზოგადოება ჰფიქრობს, რუსეთის სხვა ადგილებშიაც შეიძინოს ნავთის წყაროები, რომ თითონვე დაამუშაოს და ვაჭრობა გაჰმართოს.

— ყირიმში თამბაქოს რაღაც უცნაური სენი გაჩენია, რომელსაც იქაური მკვიდრნი „დემირ პას“ ეძახიან. ეს სენი თამბაქოს ერთობ ჰვნებს და მომავალში უფრო ცუდს ამბავს უქადის. იალტის ერობას ენთომოლოგი მეკრეეცკი მოუწვევია და დაუვალებია გამოიკვლიოს, — რა სენია „დემირ პასი“ და რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ხმარებული მის წინააღმდეგაო.

— ვიღაც პ. სოკოლოვს სააღებმიცემო და სამრეწველო დეპარტამენტისათვის უცნობებია, რომ ერთნაირი ანკესი გამოვიგონე, რომლითაც ყოველნაირი თევზის (დიდისა და პატარის) დაჭერა შეიძლება და გთხოვთ ბრძანება გამოსცეთ, რომ არავის ჰქონდეს, ჩემ ნება-დაურთველად, იმის გაკეთებისა და გასყიდვის ნებაო. ეს ანკესი სხვა ანკესებთან შედარებით უფრო რთული ყოფილა, მაგრამ რა-კი თევზე მოხვდება, წასვლით-კი ვეღარ წაუვა თურმე.

— რუსეთის მკვიდრთა უმთავრეს აღმწერელს კომისიას პეტერბურგში უკვე დაურიგებია მედლები და ამ მედლების მოწმობანი უსასყიდლო მოანგარიშეთა დასაჯილდოვებლად.

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** ბევრი ასე ჰფიქრობდა, რომ თუ კრიტს ალყა შემოვარტყით, საკმარისი იქმნება, კრიტის მეამბოხენი მაშინვე დაფრთხებიან, იარაღს დაჰყრიან და დიდ სახელმწიფოთა მიერ დაპირებულს ცვლილებათა შემოღებას დაჰყაბულდებიანო. საბერძნეთის მთავრობაც იძულებულ იქმნება ევროპის დიდ სახელმწიფოთა ბრძანებას დაჰმორჩილდეს და კრიტს თავისი საომარი ფლოტი და ხმელეთის ჯარი მოაშოროსო. თუ მაინცა-და-მაინც გაჯიუტდა საბერძნეთის მთავრობა, იმ შემთხვევაში იმითი შევაშინებთ, რო ვეტყვით — ხმა ჩაიკმიდე, თორემ საბერძნეთსაც ალყას შემოვარტყამთ საზღვრებს შეგიკრავთ და ეს სრულიად საკმარისი იქმნება საბერძნეთმა ურჩობას თავი დაანებოსო, ამასთანავე იმასაც გაიძახოდნენ, რომ ამ საქმეში დიდნი სახელმწიფონი ერთსულ და ერთ-გულ ჰმოქმედებენ და ეს განზრახული საქმის შესრულებას ხომ კიდევ უფრო ხელს შეუწყობსო. ოსმალეთის მთავრობამ ასეთის წასარჩლებისათვის დიდ სახელმწიფოთ მადლობა გარდაუხადა. ერთის სიტყვით, მშვიდობიანობის საქმე გარეგნობით მშვენივრად მოეწყო და ბევრნი გულ-დამშვიდებულნი იყვნენ. მაგრამ საქმის ნამდვილმა ვითარებამ თავისი არ დაიშალა და სწორედ ისეთი მიმართულება მიიღო, როგორიც მოსალოდნელი იყო.

ორს კვირაზედ მეტია, რაც დიდმა სახელმწიფოებმა ალყის შემორტყმით კრიტის ნაპირები შეზღუდეს; ავსტრიის სამხედრო გემმა საბერძნეთის ერთი იალქნიანი გემი, რომელსაც კრიტელებისათვის სურსათი მიჰქონდა, ზღვაში ჩაჰღუპა კიდეც, მაგრამ ყოველმავე ამან კრიტელები და საზოგადოდ ბერძნები არათუ არ შეაშინა და უკან არ დასწია, არამედ, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო აალელვა. როგორც ამ უკანასკნელს დღეებში მოსული დეპეშები გვაუწყებენ, კრიტში ნამდვილი ომია ატეხილი. კრიტის მეამბოხენი და იქვე მყოფი საბერძნეთის რაზმი, რომელსაც პოლკოვნიკი ვასოსი უფროსობს, ხან ერთს ადგილას თავს ესხმიან ოსმალეთის ჯარს და ხან მეორე ადგილას; ხან ერთს მაჰმადიანთა სოფელს უკიდებენ ცეცხლს და ხან მეორეს, და მომეტებულ ნაწილად ყოველთვის გამარჯვებულნი

---

რი ბრძოლის შედეგი იქნება
კოლებელი გაძლიერება იმ
მართობისა, რომელიც ლამობს
ხალხის განათლება გარდა-
ს ხალხის დაბნელებად. არც
აგიდევს, თუ რა ყოფაში და-
დებიან მისგან გაპრიყვებულნი
ობიდგან. „კვალს“ არც ერთი
არ მოუყვანია ამ ინსინუაციის
რთებლად და ვერც მოიყვანს.
კი შეგვიძლიან მთელი რიგი
არი ფაქტები ჩავამწკრიოთ და
სვინიდისიერი ქართველისა-
დღესავით ცხადი ვჰყოთ, რომ
ყოველთვის ხელი მოგვიმართნია
ლი ქართველი პედაგოგისათვის,
ლიც-კი სწორე გზას დასდგო-
ალხის განათლებაში. და თუ
ღმდეგობა გაგვიწევია, მხოლოდ
ანა სულიერებისათვის, რომელ-
თქვენგან ცნობილის ქარის ყურ-
ილი ყმები გამხდარან. მეორე
, მრავალი უტყუარივე ფაქტი
მოწმება, რომ ბ-ნი წერეთელი
ონ ეღობებოდა წინ ყოველს
რს და ღირსეულს ქართველს და
ქებდა, მხოლოდ იმისთანაებს,
ლნიც მასზედ უარესნი იყვნენ,
რათა ქონდრის კაცებში იგი გულივერად გამოჩენილიყო.

აი ეს ფაქტები.

ბ-ნს გრიქუროვს, ჩვენის წიგნების გამომცემელს, დაბეჭდილი აქვს თავისი ხარჯით ათამდე ქართული სახელმძღვანელო და წიგნი, — მათ შორის არ მოიპოვება თითქმის არცერთი, რომელიც ჩვენი რჩევით არ იყოს გამოცემული.

ამ ათის წლის წინად ჩვენ ვსწერდით ქართულს გრამატიკას და ნახევარი შრომა უკვე გათავებული გვქონდა, როცა შევიტყეთ, რომ ბ ნმა ჟორდანიამ და ბ ნმა ქუთათელაძემ ქართული გრამატიკები შეადგინესო. ჩვენ მაშინვე შევაჩერეთ გრამატიკის გათავება, რომ ამ პირებისათვის კონკურენცია არ გაგვეწია და ვურჩიეთ გრიქუროვს და ხიდიკელს დაებეჭდათ ეს გრამატიკები, თუმცა არა ერთი პირი გვავალებდა და ეხლაც გვავალებს გრამატიკის გამოცემასა.

ერთს დროს ჩვენ ხელი მივყავით სამღრთო ისტორიის შედგენას, რადგანაც კარგად შემუშავებულს საღმრთო მოთხრობებს აღმზრდელი გავლენა აქვთ ყმაწვილებზედ. ძველი აღთქმა უკვე გათავებული გვქონდა და გამომცემელთანაც პირობა შეკრული, როცა ბ-ნი იოსელიანისაგან შევიტყეთ, რომ მას უკვე მზადა აქვს დასაბეჭდად საღმრთო ისტორია. ამის შემდეგ ჩვენის შრომის გათავებაზედ არამც თუ ხელი ავიღეთ, არამედ ბ-ნი იოსელიანი მივიყვანეთ გამომცემელთან და ამ უკანასკნელს ვურჩიეთ დაებეჭდა მისი წიგნი და იმედი აღარა ჰქონოდა ჩვენგან ისტორიის გათავებისა.

როცა არითმეტიკა ბ-ნი ჯაჯანაშვილისა და ბ ნი ნატროშვილისა შესდგა, ჩვენ დაწყებული გვქონდა ელემენტარული არითმეტიკა სახალხო სკოლებისათვის; მაგრამ მისი დამთავრება აღარ მოვინდომეთ, რათა ამ პირებისათვის ხელი არ შეგვეშალა.

ქართული დედანი ჩვენ დამზადებული გვქონდა 1882 წელიწადსა და პირობაც შეკრული გამომცემელთან და ლიტოგრაფ დემუროვთან, როდესაც ბ-ნმა გაბიჩვაძემ ტფილისში ჩამოიტანა თავისი ქართული დედანი. ჩვენ არამც თუ უკან დავიხიეთ, არამედ ხელის მოწერაც გავმართეთ, ბ-ნი გაბიჩვაძის სასარგებლოდ „დროების“ რედაქციაში, და პირადად გადავეცით ბ-ნს გაბიჩვაძეს ჩვენი საკუთარი 12 მანეთი, რათა მიგვეცა ღონისძიება დედნის გამოცემისა. მხოლოდ, როცა ბ-ნი გაბიჩვაძის დედანმა არავინ არ დააკმაყოფილა და თვითონ შემდგენელიც დარწმუნდა მისს გამოუსადეგრობაში, ჩვენ დავბეჭდეთ ქართული დედანი.

მართალია, ჩვენ მტკიცედ ვიცავდით ჩვენს სახელმძღვანელოებს ქართულის ენისას მტრული მოქმედებისაგან; მაგრამ „კვალის“ რედაქცია ვერ დაგვისახელებს ვერც ერთს შემთხვევასა, როდესაც-კი ამ დაცვას არ მოითხოვდა თვით ინტერესი ქართულის ენისა.

ბევრს კარგად ახსოვს, თუ რა სიხარულით მივეგებეთ პირველს საბავშო ჟურნალის „ნობათის“ დაარსებას, რა გულიანად ვაქებდით ჩვენს კრიტიკულს განხილვაში ყოველს ცოტაოდნად მაინც სასარგებლო წერილს, რათა გაგვემხნევებინა ახალი რედაქცია, გაგვეძლიერებინა საზოგადოებაში თანაგრძნობა „ნობათისადმი“ და გაგვემრავლებინა დამბარე[?]ელთა რიცხვი.

უფრო კიდევ მეტი სიხარულით მივეგებენით მეორე საბავშო ჟურნალს „ჯეჯილს“. ჩვენ დაახლოებული მონაწილეობა მივიღეთ მის დაარსებაში, მის პროგრამის შემუშავებაში და მთავრობასთან საშუამდგომლო ქაღალდების შედგენაში. დაარსების შემდეგ ვიყავით მისი თანამშრომელი, აგრეთვე თანამშრომელი „კვალისა“, და არამც თუ არას ვართმევდით რედაქციას, ორივე ჟურნალის ფასიც შეგვქონდა ყოველ წლივ. ამასთან ჩვენს სურათების კლიშეებს ისე ხმარობდა რედაქცია, როგორც საკუთრებასა. ხოლო რითი გადაგვიხადა ეს დახმარება, ეს სიკეთე ცოლ-ქმარმა, ეს კარგად იცის საზოგადოებამ.

ამგვარს ფაქტებს სხვასაც ბევრს წარვუდგენდით მკითხველსა; მაგრამ დასახელებულნიც სრულიად საკმარისნი არიან ბ-ნი წერეთლის ინსინუაციის გასაცრუებლად.

(შემდეგი იქნება)

რჩებიან, თუმცა ოსმალებს ხშირად დიდ სახელმწიფოთა ჯარიც-კი ჰშველის და ეხმარება ხოლმე.

საბერძნეთიც ხომ თავისას არ იშლის და არა! თუ რას ჰფიქრობენ საბერძნეთში და რა გზას ადგიან, ამას ცხადად გვიჩვენებს საბერძნეთის საერო კომიტეტის ერთის წევრის სიტყვა, იმ კომიტეტისა, რომელსაც ელინთა ერზედ ძალიან დიდი გავლენა აქვს და ამასთანავე ძალაც შესწევს და ქონებრივი საშუალებაც. დიდ სახელმწიფოთ უნდათ, რომ ჩვენი მამაცი მხედრობა შიმშილით ამოსწყვიტონო, სწერს კომიტეტის ხსენებული წევრი, მაგრამ ამას ვერ მოახერხებენო. პოლკოვნიკმა ვასოსმა კუნძულის შუაგულ ადგილებისაკენ გაიწია, საცა მისს მხედრობას დიდ სახელმწიფოთა ყუმბარები ვერას დააკლებსო. ჩვენს მხედრობას 30,000 მეამბოხე შეუერთდა; ეს ჯარი რაზმებად არის დაყოფილი, მშვენივრად გაწვრთნილია და საბერძნეთის აფიცრების ხელმძღვანელობით ჰმოქმედებენო. ვასოსი უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლებს და 4—5 თვის სამყოფი სურსათიცა აქვსო. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენს საზღვრებსაც ალყას შემოარტყმენ, დიდად არც ეს გვაშინებს. ჩვენთა ჯარისკაცთა რაოდენობა 90,000-დის უწევს, რომელთაგან ცხრა წილი უკვე საზღვრებზედ არის დაბანაკებულიო. ჩვენი სამხედრო ფლოტი უშიშრად არის, საომარი იარაღი და სურსათი საკმაოდ გვაქვს, ფულის მხრივ დაბრკოლება არა მოგველის-რა და სხ. მე ყველაფერს ვერ გამოვამჟღავნებო, განაგრძობს იგივე წევრი, ჩვენს მთავრობასა და საეროვნო ლიგას რა თადარიგი აქვს ომისათვისო. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ დიდი ამბავი მოხდება და ამა წლის 25 მარტის დღესასწაული მსოფლიო ისტორიის მნიშვნელობას მოიპოვებსო.

25 მარტის ხსენება მართლაც რომ ყველას საგონებელში ჩააგდებს. ეს ის რიცხვია, როცა ეპისკოპოსმა გენიდიმ წმ. ლაურას მონასტერში, პატრასის მახლობლად, პირველად გაშალა თავისუფლების დროშა და მისმა თანა-მემამულეებმა სამშობლოს განთავისუფლებისათვის იარაღს მოჰკიდეს ხელი. მას შემდეგ ბერძნები 25 მარტს ყოველ წლობით დიდის ამბით დღესასწაულობენ. ვინ იცის, როგორც ისტორიულმა რიცხვმა, წარსულ მამაცობის დამასურათ-მხატებელმა, წრევანდელ 25 მარტის დღესასწაულმაც ომის გამოცხადება გააბედვინოს ბერძნებს.

## დამაკვირდი

ბრძენი რომ თავს მოისულელებს, ნუ ჰკითხავ მიზეზს: ეგ ბრძნულ საიდუმლოებაა.

ესხილი.

**

კარგი სახელი დიდი განძია.

შილერი.

**

ზოგი კეთილსა ჰხედავს, თანაუგრძნობს და ავს-კი მაინც სჩადის.

ოვიდი.

## ჟურნალ გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

თურმე კარტოფილისაგან ყველის გაკეთება შეიძლება. ამისათვის საჭიროა საუკეთესო და ფაშარი კარტოფილი მოხარშოთ, მერე გაფცქვნათ და ისე კარგად აზილოთ, რომ კორძი არ დარჩეს. მერე აიღოთ 4 წილი ამ გვარად აზელილი კარტოფილი და 3 წილი საუკეთესო ხაჭო, ან არა და 3 წილი აზელილი კარტოფილი და 2 წილი ხაჭო და ერთმანერთში აზილოთ. ამ ცომის 24 გირვანქას 3 მუჭა კარგად დაფქული მარილი ჩააყარეთ, გადააფარეთ სუფთა ტილო და ისე შეინახეთ, თუ ოთახში თბილა, 3 დღეს, თუ ნაკლებად თბილა—4 დღეს. მერე ცომი ხელ-მეორედ აზილეთ და ჩასდეთ პარკში, ან ფინში, დასდეთ ორ ფიცარს შუა და ზემოდგან ქვები დააწყეთ, რომ ყველს შრატი გაუვიდეს და გამაგრდეს. მერე ამოიღეთ ყველი პარკიდგან ან ფინიდგან და დააწყეთ თბილ ადგილას, ხოლო მზეზედ-კი არა. რომ ყველი არ დასკდეს, კარგია, ნაღები წაუსვათ. ამ ყველს ნამი აფუჭებს და ამიტომ მშრალ ადგილას უნდა შენახვა ამ გვარად, კარტოფილის ყველის გაკეთება ადვილია და იაფად ჯდება; გარდა ამისა ეს ყველი გემრიელია და საკმაოდ ნოყიერიც.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მარტი

**ბათუმი.** აქ ჩამოვიდა შავის ჭირის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიმღებ კომისიის რწმუნებული გენერალ-ლეიტენანტი ვასმუნდი და იმასთან ერთად პროფესორი კოვალსკი, უფროსი ექიმი ბრიტნევი, პეტერბურგის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი და აფიცრები.

**კოპენჰაგენი.** 18 მარტს მოვიდა ხელმწიფე იმპერატრიცა მარია ფეოდორეს ასული. გემერის სადგურიდგან მისს უდიდებულესობას თან მოსდევდნენ მემკვიდრე პრინცი ვოლდემარი, პრინცესანი ანგერბორგი და ტირა და აგრეთვე რუსეთის მისსიის წევრნი. აქაურს რკინის სადგურზედ მის უდიდებულესობას მიეგებნენ: მეფე პრინცესსა უელისა, პრინცესსა ვიქტორია უელისა, პრინცი კარლი მეუღლითურთ და პრინცესა მარია.

**ლონდონი.** „Standard“-ს დეპეშით აუწყებენ კანეადგან 18 მარტს: სპინალუნგთან ბრძოლამ 48 საათს გასტანა. ოსმალები დიდად დაზარალდნენ და დაიწიეს კუნძულს შიგნით, სადაც გამაგრებული სადგომი აქვთ. საფრანგეთის ადმირალი სპინალუგს მიდის ალბად იმიტომ, რომ დაიხსნას ოსმალები.

**კანეა.** ნაშუადღევის 4 საათზედ მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს იზედდინის ციხე-სიმაგრეზედ, რომელიც სუდის ყურეში საუკეთესო ციხე სიმაგრეა. უცხო ქვეყნების გემებმა დაუწყეს სროლა მეამბოხეებს, რომ დაჰხმარებოდნენ ციხე-სიმაგრეს, რომელიც ოსმალეთის მიერ არის დაჭერილი და რომლის სიმაგრესაც შეადგენს 12 ზარბაზანი და ერთი მიტრა ლიეზი.

**ცეტინიე.** სკუტარში ბაზარი და დუქნები სულ ერთიანად დაკეტილია. ვალიმ ჯარს ერთს ადგილას მოუყარა თავი.

20 მარტი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავრინანი და მთავარნი ცხრამეტ მარტს მარიის თეატრში კონცერტს დაესწრნენ, რომელიც ინვალიდების სასარგებლოდ იყო გამართული.

**პარიზი.** ოფიციოზური ორგანოები საბერძნეთს მხნედა ჰკიცხავენ, ბერძენთა სატევს მოქმედებას კრიტში და ამბობენ, რომ თუ გვინდა, ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას რომელმაც ძალიან დიდხანს გასტანა, დიდმა სახელმწიფოებმა ჯარის რიცხვი უნდა გაამრავლონ და ამ ნაირად ადმირალებს საკმაო ღონისძიება მისცენ სამოქმედოდ. ოფიციოზური ორგანოები დიდს სახელმწიფოთ ურჩევენ,—ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ ოსმალებმა კრიტიდგან თავისი მეციხვანე ჯარი გაიხმოსო.

**პარიზი.** უკანასკნელ ხანებში კრიტის კუნძულზედ მომხდარ ამბებისა გამო დიდნი სახელმწიფონი ერთმანეთს შეეკითხენ, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ საბერძნეთის ნაპირების კერძო ალყის შემორტყმა, რომელიც დედა-აზრის მხრივ უკვე გარდაწყვეტილი იყო, დაუყოვნებლივ სისრულეში იქმნება მოყვანილი.

**რომი.** იტალიის მთავრობა უთუოდ კრიტში ერთ ბატალიონ ალპის მსროლელ ჯარს გაჰგზავნის.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ ყოველი დიდი სახელმწიფო კრიტში თითო ბატალიონს გაჰგზავნის, რომელშიაც 600 ჯარის-კაცი იქნებაო.

**ლონდონი.** ათინიდგან დეპეშით ატყობინებენ „Times“: „კრიტის მთავარ-კამიტეტმა რუსეთის იმპერატორს, ინგლისის დედოფალს, ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორს და პრეზიდენტს ფორს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც სწერენ: გვიკვირს და გვეოცება, რომ „კრიტელებს ყუმბარებს ის გემები ესვრიან, რომელთა წყალობით განთავისუფლებულ ვიქმენითო“. ამასთანავე სთხოვს: „უარჰყავითსასტიკი დადგენილება, რომ კრიტელებს ძალა დავატანოთ და შიმშილით ვტანჯოთ, ვიდრე ჩვენ მიერ შემუშავებულს კონსტიტუციას არ მიიღებენო“.

**კონსტანტინეპოლი.** ტოკატოსა და სივაში მომხდარ ამბების შესახებ ელჩების მიერ ერთობილ წარდგენილებისა გარდა, რუსეთსა და ინგლისის ელჩებმა განკერძოებით განაცხადეს, რომ ვალის კალიმა-ფაშას საქციელი კანონიერად არ მიგვაჩნია და პირად იგი უნდა იყოს პასუხის მგებელი იმისი, რაც ამის შემდეგ მოხდებაო.

**კანეა.** 19 მარტს, დილით, მშვიდობიანად გატარებულ ღამის შემდეგ, ყუმბარების სროლა კვლავ განაახლეს. საბერძნეთის ჯარის რაზმი, რომელსაც კალამის სიმაგრე უჭირავს, ზარბაზნებს ისროდა. სროლა ასტეხეს სუდის ყურეში მდგომმა გემებმაც.

## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 მარტს, 1897 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

აქტივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა | 4099 | 82 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 191 | — |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 5186 | 26 |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 114455 | — |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | 30 | 87 |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| | ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 384— — | | |
| | ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3113— — | 3497 | — |
| VII. | საზოგადოების მიმდინარე ხარჯი | 3013 | 37 |
| VIII. | დასაბრუნებელი ხარჯი | 194 | 71 |
| IX. | მოწყობა მომართვა | 978 | 57 |
| X. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 21 | 60 |
| XI. | პროტესტში წასული თამასუქები | 250 | — |
| XII. | ანგარიში მოგებისა და ზარალისა | 1255 | 98 |
| | სულ | 133174 | 18 |

პასსივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 540 წევრთაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 60797 | — |
| II. | შემოტანილი ფული: | | |
| | ა) მიმდინარე ანგარიშით 16430—38 | | |
| | ბ) ვადით 19620—— | | |
| | გ) უვადოდ 10000—— | 46050 | 38 |
| III. | მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა | 1276 | 87 |
| IV. | გარდასაცემი თანხა | 2760 | 34 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი | 388 | 98 |
| VI. | გადაგირავება თამასუქებისა | 21900 | — |
| VII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 61 |
| | სულ | 133174 | 18 |
| | პასუხის-მგებლობა 540 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 547173 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 3400 | — |

(1—6.—1)


კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. კ. ი. მუხრან-ბატონისა № 6/1

ჩაის მყიდველთ დავუთმობთ ათის თავს, ესე იგი მანეთზე ოთხი შაური.

5 მარტიდგან 1897 წ. დაიწყო თავისი მოქმედება

„მუშამბალი“

ალებ-მიცემის მაღაზიამ,

მაღაზიაში დაცულია სისუფთავე და ზრდილობიანობა მუშტართან.

სადაც მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ პირიანად: სანოვაგე ყოველგვარი სასხნილო და სამარხვო; კონსერვები; სანელი; ხილეული; შაქარი, ჩაი, ყავა, შეკოლადი და კაკაო; ღვინოები სხვა-და-სხვა ფირმებისა; არყები და სასმელები სარაჯიშვილისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა: სიგარა, პაპიროზი, თამბაქო, გილზები სხვა-და-სხვა ქარხნებისა; საყოველდღეო საჭირო საგნები, როგორც მაგალითად,—საპონი, სანთელი, წკირა (სპიჩკა), ქაღალდები, მელნები, სახამებელი, ვაქსი, პარაფინი, ჟელატინი, სათამაშო ქაღალდი და სხვა და სხვა.....

(3—90—3)

პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ უფრო კარგად ასხურებს წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება დრო და მასალა



ისყიდება: ივანე კულიჯანოვის მაღაზიაში თელავს.

ე. ფ. აუერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღ[ში]

შაქერდოვების ქარვასლაში.

ე. ფ. აუერმანის საწყობში, ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 11[7]

20—6.—7


Дозволено цензурою, Тифлисъ 20 -го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.